

მიგრანტები, ლტოლვილები, იძულებით გადაადგილებული პირები და ეთიკური ჟურნალისტიკა

სახელმძღვანელო პრინციპები აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და რუსეთში მოღვაწე ჟურნალისტებისათვის

ვინც აკონტროლებს მედიას, აკონტროლებს გონებებს

ჯიმ მორისონი

მასობრივი ინფორმაციის საშუალებები მნიშვნელოვან როლს ასრულებს თანამედროვე საზოგადოებაში, ხელს უწყობს დემოკრატიული ფასეულობების, პლურალიზმის, ასევე ქსენოფობიისა და რასიზმის გავრცელებაში. მიგრაცია, თავშესაფარი, მრავალფეროვნება - ამ ცნებებზე და მათ გავლენაზე თანამედროვე საზოგადოებაზე - ურთიერთსაწინააღმდეგო და საპირისპირო მოსაზრებები არსებობს. პოსტსაბჭოთა სივრცეში მედია სიტყვებს: „ლტოლვილი“, „იძულებით გადაადგილებული პირი“ და „თავშესაფრის მაძიებელი“ ხშირად მსგავსი მნიშვნელობით იყენებს. ასევე სიტყვა „არალეგალური მიგრანტი“, მედიაში ხშირად გამოიყენება ახალმოსულის აღსანიშნავად, რომელსაც არ გააჩნია სამართლებრივი სტატუსი.

დღესდღეობით აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში და რუსეთში არსებული მედია საშუალებები, კონკრეტულ მიგრანტ ჯგუფებზე საუბრისას, განსხვავდებიან დისკურსის მიხედვით, იმიგრაციის თემების გაშუქება ხდება ნეგატიურ ჭრილში და კონფლიქტზე ორიენტირებულია. მაგალითად, ტერმინები "მიგრანტები" და "იმიგრანტები" ასოცირებულია ეკონომიკურ საფრთხესთან ან შრომის ბაზარზე გაზრდილ კონკურენციის საფრთხესთან, ხოლო "ლტოლვილები" და "თავშესაფრის მაძიებლები" წარმოდგენილია, როგორც ეკონომიკური ტვირთი ქვეყნის კეთილდღეობის სისტემაში. თემის ამგვარი გაშუქება იწვევს უარყოფითი აზრის ფორმირებას და აყალიბებს სტერეოტიპულ შეხედულებებს მიგრანტთა ჯგუფების მიმართ.

თითოეული ჟურნალისტი ვალდებულია ინფორმაცია გადაამოწმოს, ფლობდეს ტერმინოლოგიას. კონფიდენციალურობის დაცვა, ინფორმაციის თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მნიშვნელოვანი/პოზიტიური გავლენის მოხდენა მრავალფეროვნებაზე - ეს ყველაფერი თითოეული ჟურნალისტის პასუხისმგებლობაა.

მიგრაცია

ცალკეული პირების, ან ჯგუფების მიერ სახელმწიფოს შიგნით ან ქვეყნებს შორის გადაადგილება. ეს არის მოსახლეობის გადაადგილება, რომელიც მოიცავს ადამიანთა ნებისმიერი სახის გადაადგილებას, მიუხედავად მათი ხანგრძლივობისა, შინაარსისა თუ მიზეზებისა; იგი მოიცავს ლტოლვილებს, იძულებით გადაადგილებულ პირებს, ეკონომიკურ მიგრანტებს და სხვა მიზნებისთვის გადაადგილებულ პირებს, მათ შორის ოჯახის გაერთიანების მიზნით.

მიგრანტი

პირი, რომელიც გადაადგილდება ან გადაადგილდა სახელმწიფოს საზღვრების ფარგლებში, ან კვეთს/გადაკვეთა საერთაშორისო საზღვარი, საკუთარი საცხოვრებელი ადგილიდან შორს, მიუხედავად:

- პირის სამართლებრივი სტატუსისა;
- გადაადგილება ნებაყოფლობითია თუ არანებაყოფლობითი;
- გადაადგილების მიზეზებისა;
- ახალ ადგილზე ყოფნის ხანგრძლივობისა.

მიგრანტი მუშაკი

პირი, რომელიც მიგრირებს ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ რათა მოიპოვოს სამსახური.

არალეგალი მიგრანტი

არალეგალი მიგრანტი არასწორი ტერმინია. არცერთი ადამიანი არაა კანონს მიღმა დარჩენილი. უმჯობესია გამოვიყენოთ „არაავტორიზებული იმიგრანტი“ ან „დოკუმენტების არ მქონე იმიგრანტი“.

ლტოლვილი

საერთაშორისო სამართალი განსაზღვრავს ლტოლვილებს, როგორც ადამიანებს, რომლებმაც დატოვეს საკუთარი სამშობლო, რადგან მათი სიცოცხლე, თუ უფლებები სერიოზული რისკის ქვეშაა, იმის გამო თუ ვინ არიან ისინი ან რისი სჯერათ (მაგ. მათი რასის, სქესის, ეთნიკურობის, პოლიტიკური შეხედულებების ან რელიგიური მრწამსის, სოციალური ჯგუფის მიკუთვნებულობის გამო) და მათი მთავრობები ვერ ან არ იცავენ მათ.

ლტოლვილებს აქვთ მინიჭებული გარკვეული უფლებები საერთაშორისო სამართლებრივი ნორმებით, რომლებიც იცავს მათ თავიანთი წარმოშობის ქვეყნებში ძალისმიერი დაბრუნებისგან.

თავშესაფრის მაძიებლები

თავშესაფრის მაძიებლები არიან ადამიანები, რომლებიც ითხოვენ სამართლებრივ დაცვას ლტოლვილის სტატუსის მინიჭების გზით, მიმართავენ მთავრობას თავშესაფრის მინიჭების თხოვნით და ელოდებიან საკუთარ განცხადებაზე სახელმწიფოს გადაწყვეტილებას. ეს ადამიანები უფლებამოსილი არიან დარჩნენ სახელმწიფოში, მანამ სანამ სახელმწიფო უარს განაცხადებს მათ მოთხოვნაზე მიენიჭოთ ლტოლვილის სტატუსი. მათ ასევე უფლება აქვთ მოითხოვონ განაცხადის სამართლიანი განხილვა და საჭიროების შემთხვევაში გასაჩივრებაც. ყველას აქვს უფლება, მოიძიოს სხვა ქვეყანაში თავშესაფარი.

იძულებით გადაადგილებული პირი

ხალხი, რომლებიც სამხედრო ან ეთნიკურ ან რელიგიურ დაპირისპირებებს ან სხვა სახის კონფლიქტს გამოექცნენ, და არ გადაკვეთენ საერთაშორისო საზღვრებს, ანუ რჩებიან საკუთარი წარმოშობის სახელმწიფოში, იწოდებიან "იძულებით გადაადგილებულ პირებად".

სუბსიდიური დაცვა

სუბსიდიური დაცვა შეიძლება მიენიჭოს იმ პირს, რომელიც არ აკმაყოფილებს კრიტერიუმებს, ეწოდოს ლტოლვილი. არსებობს სამი საფუძველი სუბსიდიური დაცვისთვის, როდესაც პირს ემუქრება:

1. სიკვდილით დასჯა ან მისი წარმოშობის ქვეყანაში განადგურება;
2. წამება, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობა ან დასჯა;
3. განურჩეველი ძალადობა საერთაშორისო ან შიდა შეიარაღებული კონფლიქტის დროს.

მრავალფეროვნება

მრავალფეროვნება არის კონცეფცია, რომელიც მიზნად ისახავს მხარი დაუჭიროს ტოლერანტობას (მიღებას და პატივისცემას) სხვადასხვა წარმოშობის ადამიანების მიმართ.

ავტორი

ხატია ქარდავა, იგპ ქალთა ასოციაცია „თანხმობა“

Author

Khatia Kardava, IDP Women Association “Consent”

გამოყენებულია შემდეგი მასალები:

- Reporting on Refugees. The UNCHR Report <http://www.unhcr.org/58e1ed994.pdf>
- IOM (2007) Glossaire de la Migration. http://publications.iom.int/system/files/pdf/iml_9_fr.pdf
- Refugee Phrasebook 2016 <https://www.refugeephrasebook.de/>
- European Commission (2015): European Migration Network Glossary https://ec.europa.eu/home-affairs/content/irregular-migrant-0_en

This work was supported by....